

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი



V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) 040151

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

V საფეხური - ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) – V საფეხურის კვალიფიკაცია

პროგრამის ხელმძღვანელი:

პროფესორი გ. კახიანი

ბათუმი 2010

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) 040151

II. პროფესიული განათლების საფეხური:

ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის V საფეხურისათვის შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა დიპლომი.

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

მეხუთე საფეხურის ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) პროფესიული პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში ენიჭება ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) – V საფეხურის კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა:

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს, ყოველი დისციპლინა შესდგება 5-ის ჯერადი კრედიტებისაგან. ყოველ 5 კრედიტში საკონტაქტო არის 48/60 სთ ხოლო დამოუკიდებელი მუშაობისათვის გათვალისწინებულია 77/65 სთ. საწავლო პროცესი შესდგება 2 სემესტრისაგან და თითოეული სემესტრი გათვლილია 12 სასწავლო და 3 სასესიო კვირაზე.

მეხუთე საფეხურის ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) პროფესიული პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. აქედან სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას ეთმობა 35 კრედიტი, თეორიულ სწავლებას 25 კრედიტი.

საფეხურზე გათვალისწინებულია სპეციალური დისციპლინები: სასწავლო პრაქტიკა და საწარმოო პრაქტიკა, რომლებიც მოიცავენ სასწავლო პროცესის აუცილებელი საგნების შესაბამის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მასალას.

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამის V საფეხურზე მსურველი დაიშვება ერთიანი ეროვნული გამოცდის ზოგად უნარ-ჩვევებში ჩაბარების შემდეგ.

VI. პროფესიული პროგრამის მიზანი:

ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მიმართულია ვებ დიზაინის სფეროში პროფესიული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განსაზღვრაზე.

იგი ორიენტირებულია ვებ დაპროგრამების პროფესიული განათლების მიღებაზე, ბიზნესში ვებ დიზაინის გამოყენებაზე და კვალიფიციური კომპიუტერის სპეციალისტის მომზადებაზე.

აღნიშნული სპეციალობით სწავლის უმთავრესი მიზნებია:

- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების მიღებისა და პროფესიული ცოდნის შექმნა;
- ვებ დაპროგრამების საფუძველების პრინციპების, ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების გაცნობა;
- დამხმარე (უტილიტარულ) პროგრამებთან მუშაობის პრაქტიკული ცოდნის დაუფლება;

- კერძო თუ სახელმწიფო სამსახურებში, პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება-განვითარება;
- პროფესიული პროგრამის მიზანს წარმოადგენს მისცეს სტუდენტს მრავალმხრივი ცოდნა ვებ დიზაინის სფეროში. გამოუმუშავოს მას დასმული ამოცანის ანალიზის და მისი პრაქტიკული გადაწყვეტის უნარ-ჩვევები. ძირითადი დისციპლინები საშუალებას მისცემს სტუდენტს შეისწავლოს ვებ დაპროგრამების თანამედროვე ტექნოლოგიები. შეისწავლოს აგრეთვე მონაცემთა ბაზების, კომპიუტერული ქსელებისა და ოპერაციული სისტემების ორგანიზებისა და ფუნქციონირების საკითხები. ვებ-რესურსების სტრუქტურის პროექტირება, დიზაინის იდეის და კონცეფციის ჩამოყალიბება. ვებ სტანდარტებით გათვალისწინებულ, დინამიურ, საშუალო დონის ვებ გვერდების შექმნისათვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება, რაც ხელს შეუწყობს სპეციალისტის პროფესიული დონის ამაღლებას თანემედროვე ვებ ტექნოლოგიების სფეროში.

VII. სწავლის შედეგი:

ინტერნეტტექნოლოგიის (ვებსპეციალისტი) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ობიექტზე ორიენტირებული PHP პროგრამირების ენა ფუნქციონალური ნაწილით; • SQLite მონაცემთა ბაზის ლოგიკური დაგეგმარება; • Ajax და XML ტექნოლოგიის გამოყენების პრინციპები; • jQuery პროგრამული ბიბლიოთეკების გამოყენება.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	<p>შეუძლია:</p> <p>ინტერნეტ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ნებისმიერი სურთულის დინამიური საიტის (მართვის სისტემის) შექმნა. გარდა ვებ საიტისა, ობიექტზე ორიენტირებული PHP პროგრამირების ენის საშუალებით შეძლებს სხვადასხვა ტიპის მართვის სისტემების აწყობას და გამართვას.</p>
დასკვნის უნარი	<p>შეუძლია ინტერნეტ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემების მუშაობის პროცესში შესაძლო პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება, ანალიზი და შესაბამისი დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.</p>
კომუნიკაციის უნარი	<p>შეუძლია მოკვლევითი მასალების საფუძველზე სათანადო ინფორმაციისა და იდეების გადაცემა თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით. ინტერნეტ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა უცხოურ ენაზე.</p>
სწავლის უნარი	<p>არსებული ინტერნეტ ტექნოლოგიების მოძველებისა და ახალი ტექნოლოგიების დამკვიდრების ფონზე შეუძლია ვებ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მოძიება, დამუშავება, ანალიზი და დამოუკიდებლად შესწავლა-გამოყენება.</p>
ღირებულებები	<p>პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიულ საქმიანობას, აფასებს დამკვეთისა და ვებ სერვისების მომხმარებელთა უფლებამოსა და კონკრეტულ სიტუაციებში მოქმედებს ინტერნეტ (ვებ) საქმიანობისათვის დაკავშირებული ეთიკური და საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად.</p>

VIII. სწავლის შედეგების რუქა

სასწავლო კურსები/ მოდულები/საგნები	სწავლის შედეგები					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაცი ის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) 040151 მეხუთე საფეხური						
ინტერნეტ დაპროგრამების საფუძვლები (PHP) – III	×				×	
მონაცემთა მართვის სისტემები - II	×	×	×	×		×
Ajax ტექნოლოგიები - I	×	×				×
JQuery		×		×		×
დარგის ინგლისური ენა		×	×	×	×	
სასწავლო პრაქტიკა					×	
საწარმოო პრაქტიკა		×				×

IX. სასწავლო გეგმა

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა						სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია/პრაქ ტიკული	ლაბორატო რიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/ დასკვნითი შეფასება		
ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) 040151 მეხუთე საფეხური								
ინტერნეტ დაპროგრამების საფუძვლები (PHP) – III	5	12	36			7	70	125
მონაცემთა მართვის სისტემები - II	5	12	36			7	70	125
Ajax ტექნოლოგიები - I	5	12	36			7	70	125
JQuery	5	12	36			7	70	125
დარგის ინგლისური ენა	5		48			7	70	125

სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა ინტერნეტ დაპროგრამების საფუძვლები (PHP) – III-ში	5			12	36	7	70	125
სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა მონაცემთა მართვის სისტემები - II-ში	10			24	72	14	140	250
სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა Ajax ტექნოლოგიები - I-ში	10			24	72	14	140	250
სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა JQuery-ში	10			24	72	14	140	250
სულ	60	48	192	84	252	84	840	1500

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა) მოიცავს:

- ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- ლაბორატორიულ მეცადინეობას
- პრაქტიკულ მეცადინეობას
- დამოუკიდებელ მეცადინეობას
- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

(ადეკვატურია პროფესიული სტუდენტის კრედიტების გაანგარიშების წესში მითითებული შეფასების სისტემის)

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

შეფასების მეთოდი:

- კომპიუტერული ტესტი
- ზეპირი გამოკითხვა
- წერილი შეფასება

- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი
- დაკვირვება და დემონსტრირება

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი შეფასება

XII. სწავლების მეთოდები

(სასწავლო კურსის/მოდულის სწავლის შედეგების მიღწევისათვის შემუშავებულია სწავლების ადეკვატური მეთოდები).

- თეორიული სწავლება
- პრაქტიკული მეცადინეობა
- ლაბორატორიული სამუშაო
- სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ.

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
ინტერნეტ დაპროგრამების საფუძვლები (PHP) – III	გულადი ფარტენაძე	ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
მონაცემთა მართვის სისტემები - II	გულადი ფარტენაძე	ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
Ajax ტექნოლოგიები - I	გრიგოლ კახიანი	კომპიუტერული ტექნოლოგიების დოქტორანტი
JQuery	გრიგოლ კახიანი	კომპიუტერული ტექნოლოგიების დოქტორანტი
კალკულუსი	ანზორ ბერიძე	ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
დარგის ინგლისური ენა	ლეილა დიასამიძე ხათუნა ხაბაძე	ინგლისური ფილოლოგიის დოქტორანტი ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ.

ფაკულტეტი უზრუნველყოფილია სასწავლო-კომპიუტერული კლასებით. პროგრამის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კომპიუტერული ტექნიკისა და შესაბამისი პროგრამული პაკეტების განახლებას.

- უნივერსიტეტს გააჩნია სასწავლო და სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის;
- დეპარტამენტს გააჩნია პროგრამით გათვალისწინებული კურსების შესწავლისათვის საჭირო ლიტერატურა. აგრეთვე ლიტერატურა მონათესავე დისციპლინებში.

დეპარტამენტში დაიწყო ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა, სადაც აკუმულირებული იქნება ჟურნალები, სტატიები და სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიები.

XV. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სასწავლო პროგრამის შესრულებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ შესაძლებელია სწავლის გაგრძელება მომდევნო საფეხურზე.